**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## სასწავლებელი და პანსიონი
## ს.პ. ზ. ჯორჯიკიასი.
(ქუთაისში)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თთვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—13)


ტფილისი, 6 სექტემბერი

საშინელი უბედურება ეწვია რუსეთის იმპერიას, იმისთანა უბედურება, რომ ჩვენის „დალოცვილის საქართველოს" ღვიძლი შვილი, რომელსაც სამშობლოს საზღვრისთვის ფეხი არ გადაუცილებია, ვერ წარმოიდგენს, რომ ასეთი უბედურება შესაძლებელი იყოს დედამიწის ზურგზედ. ეს საერო უბედურება გახლავთ სიმშილობა. მთელი ოც-და-ორი გუბერნია, სადაც უკანასკნელი 22 მილიონი მკვიდრი სცხოვრობს, დაიმშა. ამ უშველებელის სივრცის ველ-მინდორზედ ერთი მუჭა ხორბალი არ მოვიდა; შემოდგომის ნათესი ყინვამ დასძრა და, რაც გადურჩა ყინვას, გაზაფხულზედ გოლვამ ამოაგდო. მარტო პურს ვინა სჩივის, არ მოვიდა აგრეთვე ბალახი და მწვანილეულობა, კარტოფილი, კომბოსტო და სხვა ბოსტნეულობა, ასე რომ ხალხთან ერთად უსაზრდოოდ დარჩა საქონელიც.

სიმშილმა შემოდგომის პირშივე იჩინა თავი, გაჭირვებული ერი, ვინ იცის, რა საშუალებას არა ჰხმარობს, რომ როგორმე თავი გამოიკვებოს. ფქვილის მაგიერ ხმარობენ ქატოს, საცა-კი მოიპოვება, აურევენ შიგ რაღაც ბალახ-ბულახს, ხის ფოთლებს და ასეთის საშინელის ცომისაგან აცხობენ ვითომ-და პურს. პური მძიმეა ტყვიასავით, მძიმე სუნი უდის და ძნელი მოსანელებელია. მაგრამ ბევრს ალაგას ასეთი პურიც არ არის. ალაგ-ალაგ დამშეული გლეხები აგროვებენ, სათქმელადაც-კი ძნელია, ცხენის ფეინს, ხარშავენ და იმასა სჭამენ. ერთის სოფლის მღვდელი სწერს, რომ ჩემის სამრევლოს მეორე სოფელში წავედი ავადმყოფის საზიარებლად და გავკვირდი, რომ სოფელში ბაღლების მეტი ვერავინა ვნახეო. თურმე დიდები ცხვრებივით გაფანტულიყვნენ სხვა-და-სხვა ქალაქებში პურის მოსათხოვად. ფული რომ გაუწოდო ამისთანა მათხოვარს, არ აიღებს და მოწიწებით შეგეხვეწება, ფულის მაგიერ ერთი ნაჭერი პური მიბოძეო. სოფელში დატოვებული ბავშვები, იმავე მოძღვარის სიტყვით, მამაკვდავებს ჰგავდნენო, მიხრწნილები და სიმშილისაგან ღონე გამოლეულნი, იატაკზე ეყარნენ და ძლივს-ღა ღნაოდნენო.

მთავრობამ ყურადღება მიაქცია ხალხის ასეთს უბედურებას და იღონა სხვა-და-სხვა საშუალება, რომ გადაარჩინოს 22 მილიონი მკვიდრი სიმშილისაგან გაწყვეტას. მარტო მთავრობამ გადასდო ამ საჭიროებისათვის ოც-და-ხუთი მილიონი მანათი ფული. უმაღლესად ნაბრძანებია, შეუდგნენ ეხლავე წინად მოსაზრებულის რკინის გზების გაყვანას, რომ დამშეულმა ხალხმა სამუშაო იშოვოს; რკინის გზაზე სამი მეოთხედი ღირებულის ფასისა დააკლეს, რომ გაუჭირვებლად წავიდ-წამოვიდნენ სხვა გუბერნიაში სამუშაოს საშოვნელად. უწმინდესი სინოდი ეხლავე შეუდგა უფასო სადილების გამართვას სამღვდელოებისთვის, შეადგინა ლოცვები, რომელიც ეკკლესიებში უნდა იქმნას ხოლმე წაკითხული; სისხლის ჯვრის საზოგადოება აგროვებს ფულსა და ჰგზავნის დამშეულს გუბერნიებში; ერობანი ფულს სესხულობენ მთავრობისაგან და ჰყიდულობენ ხორბალს, როგორც სათესლედ, აგრეთვე გამოსაკვებად; ყოველ გუბერნიის ქალაქში დაარსდა გუბერნატორების თავსმჯდომარეობით კომიტეტები, სადაც იკრიბება კერძო შეწირულებანი დამშეულთა საშველად. მთელი რუსეთი შეიძრა, რომ როგორმე შეუმსუბუქოს დამშეულს გუბერნიებს ღვთისაგან მოვლენილი უბედურება, და ყოველის მხრიდამ იგზავნება შეწირულება. საყურადღებოა აგრეთვე მთავრობის განკარგულება, რომლითაც აიკრძალა ჭვავის გატანა საზღვარ გარედ. რაკი ჭვავი ვეღარ წავა უცხო ქვეყნებში, ძალა-უნებურად იქით გატრიალდება, სადაც მოთხოვნილებაა და ამ გვარად შესაძლებელია, რომ ხალხს, ცოტათიც არის, შეუმცირდეს უბედურება, რომელიც თვალსაჩინოდ დააქვეითებს რუსეთის ერს და დიდს ზარალს მოუტანს სახელმწიფოს, რადგან ამ ორის სამის წლის განმავლობაში მთავრობა არამც თუ ვერაფერს ხარჯს ვერ შეჰკრებს, არამედ კიდევაც თითონ უნდა აძლიოს.

ამ სიმშილობის დროს დაზარალებულს სოფლებს დიდი სამსახური გაუწია სასოფლო პურის მაღაზიებმა. საუბედუროდ პურის მაღაზიების საქმე რუსეთშიაც ისე ცუდად მიდის, როგორც ჩვენში და იმდენი სარგებლობა ვერ მოუტანა, რამდენიც მოსალოდნელი იყო. ბევრს სოფელში პურის მაღაზიაში ერთი მარცვალიც არ აღმოჩნდა. დიდად სწუხან, რომ მაღაზიებს გულ-გრილად ეკიდებოდნენ და მოსავლიანს წლებში პურს არ აგროვებდნენ, მაგრამ ვაი და ვუი ეხლა გვიან-ღა არის. რუსებს ტყუილად არ გამოუთქვამთ ანდაზა: გლეხი კაცი პირჯვარს მაშინ გადიწერს, როცა დაიქუხებსო.

წელს, ხუთს აპრილს, სწორედ ოცი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენს გუბერნიაში პურის მაღაზიები დაარსდა და ამ ოცის წლის განმავლობაში ამ კეთილმა და სასარგებლო საქმემ ფეხი ვერ მოიკიდა. ჯერ სულ არ არის პურის მაღაზიები და თუ სადმე არის, ცალიერები ყუნტია. ნუ თუ ჩვენც უნდა ველოდდეთ იმისთანა უბედურებას, როგორიც ეწვია რუსეთს, რომ თავი მოვიფხანოთ და საქმეს მხოლოდ მაშინ მოვეკიდოთ ერთგულად? მაშინ დაგვიანებული-ღა იქნება. ამ ოცს წელიწადში საქმეს რომ კარგად ევლო, ეხლა ოთხ მილიონამდე ფული და მაღაზიები პურით სავსე გვექმნებოდა; მაშინ სიმშილიც ვეღარას დაგვაკლებდა, თორემ, ღმერთმა-კი გვიხსნას, მოუსავლიანი წელიწადი რომ გვესტუმროს, რითი უნდა გავიტანოთ თავი? მარტო მთავრობის შემწეობა ვერას გახდება.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** გუშინ ქალაქის გამგეობას მიაწყდნენ ჩვენი ყასბები და საჩივარი გამოუცხადეს გამგეობის წევრს ბ-ნს ხოსროევს, რომლის ზედამხედველობის ქვეშაც იმყოფება ქალაქის ბაზარი. ყასბები იმას სჩიოდნენ, რომ ეხლანდელი ნიხრი მეტად საზარალოა ჩვენთვის და, თუ ერთს კაპეიკს მაინც არ მოუმატებთ, სრულიად დავიღუპებითო.

ბ-ნმა ხოსროევმა გამოუცხადა მომჩივანთა, რომ საქმის გარემოება

## ფელეტონი

### ორი მსხვერპლი

(სურათი რკინის გზის ცხოვრებიდგან)

(დასასრული. იხ. „ივერია" № 189)

მეორე დილას სადგურის უფროსმა ტიტიას მძინარეს მოასწრო.

— ვირო, აქამდის გძინავს? დაჰკივლა ტიტიას უფროსმა. ტიტია რეტ-დასხმულსავით თვალების ფშვნეტით წამოხტა.

— გუშინ გაილეშე განა?

— არა, ბატონო! მართალია, ცოტა ღვინო გიახელით.

— ცოტა, შენმა მზემ! მერე აქამდის გძინავს და ოთახები-კი დაუსუფთავებელი გაქვს. დროს გატარება გინდოდა და ჯარიმაც გადაიხადე.

უფროსი მოჰშორდა. ტიტიამ გამოიტანა ცოცხი და ოთახების დაგვა დაიწყო. მიასუფთავა ოთახები, დაგავა ბაქანი და მორიგობა მეორე მსახურს ჩააბარა. ტიტია თავისს ოთახში წავიდა, პირი დაიბანა, ტანისამოსი ჩაიცვა და ეკკლესიისაკენ წავიდა. მიდიოდა და გზაზე სულ სოფიოზე ჰფიქრობდა. სასიამოვნო ფიქრებმა უფროსის მუქარაც დაავიწყებინა, თუმცა-კი დარწმუნებული იყო, რომ ორიოდე მანათი მოაკლდებოდა ამ თთვეში იმისს ჯამაგირს. მაგრამ რა დროს მანეთებზე ფიქრი იყო, როცა სოფიო ეკკლესიაში ეგულებოდა და იქ იმის სანახავად მიეშურებოდა. ეკკლესიის შიგნითა და გარედ ბევრი ეძება ტიტიამ, მაგრამ სოფიო აღარსად იყო. ვინ იცის, იქნება საღამომდისაც ეძებნა, რომ იღბალზე სოფრონი არ დაჰხვედროდა.

— ტიტი, აქა ხარ? უნდა მენახე და მეხარებინა.

— რა?

— რა და ის, რომ თედოს უთხარ, ტიტიას შენი ქალი მოეწონა და შევრთათ-მეთქი. თედოც და იმის ჯალაბიც დამთანხმდნენ. რამ დაგაფიქრა, შე ოხერო! სახლობა და ისინი დილასვე გავისტუმრე და მე იმიტომ დავრჩი, რომ შენთან მომელაპარაკნა. რას მეტყვი.

— რას გეტყვი! სწორედ მომეწონა, მაგრამ ესე მალე როგორ გითხრა...

— რა დიდი ფიქრი უნდა ცოლის შერთვას. სოფო გამრჯელი დედაკაცია, შენც ჯამაგირში ხარ, და იცხოვრებთ ღვთით! ჰა! დაჰკარ ხელი, ორს კვირაზე ქორწილიც გავაჩაღოთ.

— კარგი, სოფრონ, უფროსსა ვთხოვ, თუ დამითხოვა, შენთან ჩამოვალ და იქ გავათაოთ.

— რაღა გათავება უნდა, მზითევი, რაც შეეფერება, ქალს მზადა აქვს. შენც შეემზადე, ჩამოდი ჩემთან და ჯვარი დაიწერე...

— კარგი, შეგატყობინებ...

— მაშ მშვიდობით, მეჩქარება, ურმებს უნდა მოვეწიო.

— მშვიდობით. ტიტია მარტო დარჩა და ფიქრს მიეცა. ამ მოულოდნელმა ამბავმა დააფიქრა... „სოფიო მომწონს, კაი გოგონაა, დროცა მაქვს ცოლის შერთვისა, მაგრამ ესე უცებ! მაშ რაღა... სოფიოს თვალების დაწუწვნა... იმის მარგალიტ ტუჩების ჩაკოცნაო"... ჰფიქრობდა ტიტია და სიამოვნებით სავსე დაბრუნდა სადგურზე. სახლში შესვლის უმალ ტანისამოსი გაიხადა და ოთახის მილაგ-მოლაგება დაიწყო.

მიალაგ-მოალაგა ოთახი, დაგავდაასუფთავა, ცოტა არ იყოს, დაიღალა კიდეც და იქვე ტახტზე გადაწვა. თვალ-წინ მოღიმარი სოფიო წამოუდგა... ტიტიამაც გაუღიმა და ასე გაღიმებულს ჩაეძინა.

—

სამის კვირის შემდეგ ტიტიას ოთახი, რომლის მოწყობილობას წინად ერთი ტახტი, სამი სკამი, მაგიდა და ერთი მოზრდილი ყუთი შეადგენდა, აღარ იცნობოდა. სისუფთავეს გარდა, ავეჯეულობაც მოემატა. ტახტი ახალი ფარდაგ-ხალიჩით შეიმოსა. ფანჯრები თეთრმა, უმტვერო ფარდებმა დაამშვენა. სოფიო დაუსვენებლივ ფუსფუსებდა ოთახში... ტიტია გადახალისდა, სახეზე ჟანგი ჩამოეცალა და სამსახურის ერთგულობას უმატა. უფროსი მადლობელი იყო ტიტიასი და დროს უცდიდა, რომ იმისი ერთგული სამსახური დაეჯილდოებინა. დრომაც ხელი შეუწყო. უფროსმა ტიტია კონდუქტორობაზე წარადგინა. სწორედ რომ შესანიშნავი დღე იყო ტიტიას პატარა ოჯახისთვის ის დღე, როცა უფროსმა გამოუცხადა, რომ კონდუქტორად დაგამტკიცესო.

ტიტია საჩქაროდ გაექანა სოფიოსკენ.

— მეღირსა, ჩემო სოფიო, მეღირსა!

— რა? კანდუქტორობა მოგცეს?

— მომცეს, ეს იყო, ეხლა გამომიცხადა უფროსმა. ეხლა ფიქრი აღარ არის, ღვთით, ჩვენი საქმე რიგიანად წავა. დღეს სადილი გავმართოთ, ჩემო სოფიო...

— რაღა სადილი, ამაღამ ილიკო მოვნათლოთ. ნათლობაც იქნება და მაგ სასიამოვნო ამბის ვახშამიც. სოფიომ ტიტიას თანხმობით შენახული გროშები გამოიძებნა და ვახშმის სამზადისს შეუდგა. პირველის ორის შვილის ნათლობა თუ ჩუმი იყო, სამაგიეროდ მესამე შვილის ნათლობას ზედ ასეთი სასიამოვნო ამბავი დაერთო და რაც-კი შეეძლოთ, ცოლი და ქმარი სცდილობდნენ, რიგიანად გაეხადნათ. მართლაც რომ კარგი ნადიმი მოუვიდა ტატიას. ამხანაგობა გაუმხიარულდა. გათენებამდე სიმღერა-ნადიმმა, ცოტა არ იყოს, მოღალა სოფიო. მაინც დაღლას არაფრად იმჩნევდა და მეორე დღეს გაცხარებულს ოთახის გასუფთავებასა და დალაგებაში იყო. ტიტიაც გულ-მოდგინედ შველოდა სოფიოს. სწორედ რომ სასიამოვნო სანახავნი იყვნენ ახალგაზდა, კმაყოფილებით სავსე ცოლ-ქმარნი. პატარა ბავშვებიც, თითქოს დედ-მამის სიამოვნება იგრძნესო, დღეს რაღაც მხიარულად იყვნენ. უფროსი ოთხის წლის ბიჭი და იმისი მომდევნო ორის წლის ქალი ოთახში დაცუნცრუკებდენ, იცი-

კარგად ვიცი და დღევანდელი ნიხრი ისეთია, რომ ამაზედ საჩივარის გამოცხადება შეუძლებელიაო, და უარი უთხრა ყასბებს.

ყასბებმა მუქარა გამოაცხადეს, ნიხრის დამწესებელს კომისიასთან ვიჩივლებთ საბჭოში და, თუ საბჭოც არ შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას და ნიხრს არ მოუმატებს, მაშინ საყასბოებს დავკეტავთ და ვაჭრობაზედ ხელს ავიღებთო.

რამდენი ერთი მუქარა გამოუცხადებიათ, მაგრამ ხორცის ვაჭრობა არ შეჩერებულა. შეჩვეული ვართ ამისთანა მუქარას და ისიც ვიცით, რომ ერთი წავა, მეორე მოვა—ხორცი მაინც საკმაო იქნება ჩვენს ბაზარში.

*** ქალაქს საკმაოდ ბევრი აქვს საკუთარი მიწები სხვა-და-სხვა ადგილას. უმეტესი ნაწილი ამ მიწებისა არავითარს შემოსავალს არ იძლევა, მაშინ როდესაც მთხოვნელები არიან, მოგვეცით იჯარით და ერთხელვე გადაჭრილს საიჯარადრო გადასახადს გაძლევთო. მაგრამ საქმე ისაა, ეს ადგილები დაგეგმილი არ არის ჯერ-ჯერობით და უამისოდ ადგილების იჯარით გაცემა შეუძლებელია. ამ თთვის დამლევს ქალაქის გამგეობას მზად ექმნება იჯარით გასაცემად 6 ნაჭერი მიწა და მსურველთ დაურიგებს.

სასურველია, ქალაქმა დაუჩქაროს და თავისი მიწები იჯარით გასცეს, რომ ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში ცოტა მაინც სული მოიბრუნოს იმ ფულით, რომელიც ამ ადგილებიდგან შემოუვა ქალაქს.

*** ქალაქის გამგეობაში ჰმსახურებდა ვასილ სტეფანეს ძე მოისეევი. წელს მაისში დაანება თავი სამსახურს მეტად მოხუცებულობის გამო. ქალაქისათვის სამსახური დაუწყია 1840 წლის 1-ლ ენკენისთთვეს და დღემდე ისე უმსახურნია, რომ ყველაზედ ადრე მოდიოდა სამსახურში და ყველაზედ გვიან მიდიოდა სამსახურიდგან...

ეხლა ბ-ნი მოისეევი სთხოვს გამგეობას, იშუამდგომლეთ ჩ პენსია დამინიშნეთ ამ მოხუცებულობის დროსაო.

იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი საბჭო უყურადღებოდ არ დასტოვებს 51-ის წლის კეთილსინიერად სამსახურს ბ-ნის მოისეევისას. ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს, რომ გამგეობამ თვითონ არა სთხოვა საბჭოს ეს პენსია, ბ-ნ მოისეევის უთხოვნელად.

*** ამბობენ, აფთიაქებს დაავალებენ ავადმყოფთათვის საჭირო ყინულის გაყიდვას ყოველს ჟამს, როცა-კი მოითხოვენო.

*** რა შემოსავალიც ჰქონდა ქალაქს ამ წლის 1-ლ იანვრიდგან ენკენისთთვის 1-ლ რიცხვამდე, მკითხველი შეიტყობს შემდეგის ანგარიშიდამ:

| | 1889 წ. | 1890 წ. | 1891 წ. |
|---|---|---|---|
| სასწორებისა | 4.590/73 | 3970/21 | 4.182/61 |
| საქონლის დახოცვისა | 18.679/58 | 19.006/47 | 18.415/03 |
| სატოლსი | 9.696/70 | 11.000/60 | 11.172/40 |
| ვერის ხიდისა | 5.384/99 | 5.703/02 | 5.514/08 |
| მნაცაკანის ხიდისა | 30.703/35 | 2.776/41 | 3.159/76 |
| მოედნებისა | 8.829/58 | 9.811/44 | 9,795/68 |
| სულ 1-ლ ენკენისთვემდე შემოსვლია ქალაქს | 50.301/93 | 52.268/15 | 52.239/56 |

*** ვინც დროებითაა ციხეში ჩამწყვდეული რომელისამე მცირე დანაშაულობისათვის, ხანდისხან კერძო სამუშაოზედ გაგზავნიან ხოლმე. ამისთანა პატიმართ ერთს კაცს აბარებენ და ამის ზედამხედველობით მუშაობენ.

გუშინ, 6 ამ თთვეს, ციხიდამ მოეყვანათ ოთხი კაცი ნიკოლოოზის ქუჩაზედ, კნეინა ციციშვილის სახლებში, სამუშაოდ. ოთხს კაცში ერთი თათარი ყოფილიყო, რომელსაც მხოლოდ თთვე ნახევარი-ღა დარჩენოდა კიდევ ციხეში ჯდომა, მაგრამ, როგორც ეტყობა, სულმა აღარ მოუთმინა და როცა დრო იგულა, გაგცევა დააპირა. ნაშუადღევის მესამე საათზედ დრო იჩჩია და იქვე ახლოს ვიღაც კაცის ჩოხა ჩაიცვა და გაიქცა. ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ჩოხის პატრონი პოლიციამ დაიჭირა იმ აზრით, რომ ვითომ შენ შეუწყე ხელი გასაქცევადაო.

*** საერო განათლების სამინისტრომ განიზრახა სრულიად შეცვლა საქალებო გიმნაზიების ხასიათისა: ამისათვის ამ გიმნაზიების გამგებელს ქალებსა და უფროსებს, მასწავლებელს ქალებსა და ვაჟებს ცირკულიარით მოსთხოვა, შეგვატყობინეთ თქვენი აზრი: რა ხასიათისა უნდა იყოს ქალთა გიმნაზია, ე. ი. ამ გიმნაზიებში უფრო განათლებას უნდა მისდევდეს კაცი, თუ უმთავრესად ქალების გიმნაზიის დანიშნულება აღზრდა უნდა იყოსო. ამის მიხედვით ის აზრიც უნდა გამოსთქვათ დასაბუთებულად, ვინ უნდა იყოს ქალთა გიმნაზიის გამგებელი და მასწავლებელი—მამა-კაცები, თუ ქალებიო.

ამ ჟამად ყველა გიმნაზიას წარუდგენია თავისი აზრი ამ საგნის შესახებ და მთელი ეს მასალა გადაუციათ იმ კომისიისათვის, რომელიც სამინისტროს დაუნიშნავს ზემოხსენებულის საქმის გამოსაკვლევად. საყურადღებო თურმე ერთი გარემოებაა: ქალთა გიმნაზიების ხასიათის შეცვლის შესახებ აზრი სულ სხვა-და-სხვა წარმოუთქვამთ. გიმნაზიების უფროსებს და მასწავლებელს მამაკაცებს ის აზრი წარუდგენიათ, რომ ქალების გიმნაზიის უმთავრესი დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ განათლება შესძინოს ქალებსა და მართველად უთუოდ მამაკაცები უნდა იყვნენო, ხოლო გიმნაზიების გამგებელს ქალებსა და მასწავლებელთ განუცხადებიათ, უპირველესი და ერთად-ერთი დანიშნულება ქალების გიმნაზიების აღზრდა უნდა იყოს და ეს საქმე ქალების ხელში უნდა ჩავარდესო.

*** ძმანი ისარლოვები ქალაქის მე-9 ნაწილში მტკვრის პირად ფიცრის სახერხს ქარხანას აშენებენ და რადგან იმ წესებს არ ასრულებენ, რომელიც მათთვის სავალდებულოა, მაგალითად ცეცხლის ასაცილებელს საშუალებას არ უმართავენ, ამიტომ ქალაქის ხუროთმოძღვარმა მუშაობა შეუჩერა.

*** იმავე მიზეზების გამო შეუჩერეს მოუაობა ვიღაც ბასილოვს, მიხეილის ქუჩაზედ.

*** წყე (შორაპნის მაზრა): წლევანდელი წელიწადი, გვეგონა, ხეირს დაგვაყრიდა, რადგანაც გაზაფხულის პირზედ ვენახებშიაც ძლიერ ესხა ვაზს და ყანებს ღვთის თვალი დასტრიალებდა. სიმინდის ყანებს ზაფხულშიაც კარგი დარი დაუდგა, რადგანაც ხშირი წვიმები ჩვენ მთა-გორიანსა და გაფხეკილს სოფელს საკმაო სინესტეს აძლევდა და სიმინდიც ხეირობდა. მაგრამ მარიამობის თთვის მიწურულში და ენკენისთვის პირველს რიცხვებში იგივე სიმინდი მოსვლის დროს აჟინებულის წვიმების გამო გაფუჭდა, დაობდა და გვეშინიან, რომ შენახვით ზამთარში ვაი თუ დალპეს. რაც შეეხება ვენახებს, თქვენი, მტერი იყოს ისე, როგორც ვენახები არის. სხმით პირველად ძლიერ ესხა, მაგრამ აუტყდა ათასნაირი ავადმყოფობა, ობი, ჭახაჭი, ნაცარი და სხვა და თუ სრულიად არა, სანახევროდ ბოლო მოუღო, გააფუჭა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ ერთს წელიწადს მაინც გადავრჩებოდით ამ ვაზის ავადმყოფობას, ამიტომ საჭიროდ აღარ ვსცანით, რომ ვენახებისათვის გვეწამლა. ახლა-კი ვნანობთ, მაგრამ გვიანღაა. იმ დალოცვილს ვაზს რაც შერჩა, ისიც აღარ მწიფდება და ისვრიმი ვით მკუხეა. ახლა რომ წვიმებია აქ, ვითომ შეალბო ყურძენი, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ასეთი ამინდი ეხლა საზარალოა ყურძნისათვის, რადგანაც მას წყალს უმატებს შაქრის მაგიერად, დაწურული ღვინო მდარე გამოდის და არც ყენდება. ეხლა-კი, ღვთის წინაშე, საჭირო იყო ნამიანი მოწმენდილი ღამეები და თბილი, დამტკბარი დღეები, მაგრამ ამ მხრითაც გვიმუხთლა ბედმა.

ამ ჟამად აქ მუშაობს ი. ზ. ანდრონიკაშვილის საფილოქსერო დასის ერთი ნაწილი, რომელიც სინჯავს ვენახებს. მოგეხსენებათ, რომ შარშან აქ ამავე დასმა აღმოაჩინა ფილოქსერა და ახლაც კიდევ იქავე, სახელდობრ, გაჩეჩილაძეს ვენახშიაც აღმოაჩინეს ფილოქსერა 13-ს ვაზზედ. აღმოჩენილის ფილოქსერის მოწამვლას გუნდი შეუდგება ამ თთვის შუა რიცხვებიდგან, როდესაც გლეხობა ვენახებიდგან ჭინახულსა და ყურძენს გაიტანს.

*** იქიდამვე: ზემო წევის ამაღლებულს გორაკზედ, ზედ აგრედ წოდებულ ბაზრის ბოლოს და ეკკლესიის მახლობლად არის აშენებული ორ სართულიანი სახლი, სადაც მოთავსებულია ადგილობრივი სამრევლო სკოლა. ამ სკოლის მასწავლებლად დაუნიშნავთ ერთი ახალგაზდა, სემინარიაში ნასწავლი, ყმაწვილი კაცი. შეგირდები ჯერ თუმცა ცოტა დადის ახლად გამართულს სკოლაში, მაგრამ იმედია ახალის მასწავლებლის მუყაითობა და ბეჯითიანი გამრჯელობა გლეხ-კაცობას ჩააგონებს, თავის შვილებს სწავლა შესძინონ და უმეცრების პირ-ბადე შეხსნან. სწავლის საჭიროებას ხშირად უმარტავს და უხსნის ადგილობრივი მღვდელი, მ. ლ. მაღრაძეც, რომლის დარიგებას ჯეროვანი გავლენა ექნება ხალხზედ. ერთი ცოტა რამ უხერხულობა სჭირს სკოლას. როგორც ვსთქვით, სკოლას ბაზარი ზედ აკრავს, სადაც ორი ადგილობრივი ყასაბი თხებს ხშირად ჰკლავს და ასაღებს. მაგრამ იმ დალოცვილებს გასაღების შემდეგ, სწორედ იმ დროს, როდესაც სკოლაში გაჩაღებული სწავლა და მეცადინეობაა, შეექნებათ ერთი ყვირილი და ალიაქოთი, ისეთი ყვირილი, რომ ვგონებ, სამს, ოთხს ვერსზედ ისმის იმათი ჩხუბის ამბავი. რასაკვირველია, ასეთი საქციელი სკოლაში სწავლის საქმესაც ძლიერ უშლის. იმედი გვაქვს, ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას,

---

ნოდენ და ხან დედას და ხან მამას ეხვევოდნენ. დედ-მამაც შეჰხაროდა შვილების მხიარულებას და წამ და უწუმ ხან ერთსა და ხან მეორეს ჰკოცნიდნენ და ეალერსებოდნენ. სულ პატარა ახალი ქრისტიანი გაჩუმებული იწვა აკვანში, თითქო ჰგრძნობს, დედაჩემს ჩემთვის არა სცალიან და ტირილით არ შევაწუხოო.

—

ორის დღის შემდეგ ტიტია საქონლის მატარებელზე დანიშნეს. მატარებელი სადგურიდგან საღამოს ხუთს საათზე უნდა გასულიყო. სადილს შემდეგ ტიტია სოფიომ სამგზავროდ მოამზადა, გამოეთხოვა და გზა დაულოცა. კალმით შეუძლებელია აიწეროს ტიტიას სიამოვნება-სიხარული, როცა ნავთის სავსე ქვაბს მოუჯდა თავისის ბარგით. მატარებელმა დაუსტვინა და გზას გაუდგა. ტიტია სახლში მხოლოდ მესამე დღეს დაბრუნდა. შინ მიმავალს ტიტიას ეგონა, ჩემი სოფიო ეხლა ტკბილს სიზმრებშიაო, მაგრამ მოსტყუვდა. სოფიომ თითქოს წინადვე იცოდა, რომ ტიტია დაბრუნდებაო, გაუთენებლივ ადგა და ჩაი მოამზადა.

ტიტიას მეტად ესიამოვნა, სოფიო რომ ფეხზე დაუხვდა.

— როგორ იმგზავრე? ჰკითხა სოფიომ ტიტიას.

— კარგად; სადილს შემდეგ ისევ უნდა წავიდე...

— უძილო იქნები, მოისვენე.

— ეგ-კი მართალია, წუხელ მთელი ღამე გზაში ვიყავით.

ტიტიამ მძინარა ბავშვებს აკოცა და დასაძინებლად დაწვა.

სოფიო თითის ფრჩილებზე დადიოდა, ბავშვებს აჩუმებდა და აფრთხილებდა, მამა დაღლილია და არ გამოაღვიძოთო. ტიტიამ დროზე გამოიღვიძა, საჩქაროდ შენაყრდა და წავიდა სადგურზე... გზაში ხუთი თთვე გაატარა ტიტიამ...თუმცა ცოლშვილში სულ სამს დღეში ერთხელ ერგებოდა ხოლმე ყოფნა, და ისიც რამდენსამე საათს, მაინც ბედის კმაყოფილი იყო, რადგან შრომა უფასდებოდა და წინანდელი ჯამაგირი ერთი-ორად გადაექცა.

—

საღამო ხანზე სახალხო მატარებელმა სამი დამსხვრეული კონდუქტორი ჩამოიტანა. იმათ შორის ტიტიაც ერია. სოფიო თმა-გაწეწილი მივარდა სადგურზე... თუმცა ხალხი სცდილობდა, სოფიო დაემშვიდებინა, მაგრამ სოფიოს გულმა იგრძნო, რომ ტიტია ხელიდგან მეცლებაო, და შესაბრალისად დაიწყო კვნესა და გმინვა. ორი დღე-ღა იცოცხლა ტიტიამ. როცა კვდებოდა, სოფიოს შეემუდარა, პატარა ბავშვებს მოუარე და როგორმე წამოზარდეო. სიმამრ-სიდედრსაც ამასვე სთხოვდა,— სოფიო სადაც უნდა წაიყვანოთ, ბავშვები ოხრად არ დასტოვოთო. თავისი ქალიშვილი შვილებით დედ-მამამ სოფელში წაიყვანა. სოფიო ოჯახში დაუღალავად ჰშრომობდა, ყველაფერში ეშველებოდა დედას და მშობლებს თვალ-წარბში შეჰყურებდა, არაფერი ვაწყენინოვო... ერთი თთვე გავიდა, რაც ტიტია დაასაფლავეს. მეზობელ-მოკეთეების რჩევით სოფიო სადგურის უფროსთან მივიდა. სადგურის უფროსმა ქაღალდი მისცა ტიტიას ათის წლის სამსახურისა. ამ ქაღალდით სოფიო ტფილისის რკინის გზის სამართველოში წამოვიდა შემწეობის სათხოვნელად.

—

საღამო ხანია. ეს-ეს არის მზე კავკასიონის მთისკენ გადაეშვა და იქვე მწვერვალს შედგა, თითქო შეყოყმანდა და რაღაც ფიქრს მიეცაო. შემდეგ უცნაურის ღიმილით ერთი კიდევ გადმოჰხედა ხმელეთს და მთას, მოეფარა. ორთაჭალის განაპირს ბაღში, მტკვრის პირას, დუდუკი ნელის ხმით სევდიანს „რანაბს“ უკრავს. ერთი მოქეიფეთაგანი ტკბილად დაჰმღერის დუდუკს. აგერ დუდუკი დაჩუმდა... მომღერალმა ჭიქით სავსე ღვინო აიღო ხელში.

„ყმაწვილებო, გაცოცხლოთო“ დაიძახა და ღვინო გადაჰკრა. მოქეიფეთ ერთ ხმად „გაგიმარჯოს“ შესძახეს... მაგრამ ეს წვრილი ხმა ვისია?! ვინა კისკისებს? კავებ-გადმოყრილი სოფიო ჩასჯდომია სამს მოქეიფე ახალგაზდას და ღვინისაგან შეჭარხლებული გიჟისავით იღრიჭება!

მორცხვი, მოკრძალული სოფიო გაჰქრა.. გაჰქრა იმის უმანკოება, აღარ არის. პატარა შვილები და ტიტია სადღაც ჯურღმულში მიიმალნენ. რკინის გზის სამმართველომ ერთი თთვე ატარა სოფიო, და ერთის თთვის შემდეგ ენა-ტკბილი ახალგაზდა კაცი გააცნო, რომლის შემწეობითაც ხუთი თუმანი მიიღო რკინის გზის სამმართველოდგან.. ტიტიას ათის წლის სამსახური ხუთ თუმნად დაფასდა. არა, ხუთმა თუმანმა ტიტიას სამსახური-კი არ დააფასა, სოფიოს სირცხვილი აჰხადა.. ერთი თვე ატარეს უშემწეოდ დედაკაცი... ტფილისში განა რის პატრონს შეეძლო ერთს თთვეს დარჩენა და ლოდინი. ისეც გაჭირვებულმა განწირულებამდე მიაღწია და ხუთის თუმნის მოლოდინს თავისი უმანკოება შეალია.

ორთაჭალის ქეიფმა კარგა შუაღამემდე გასტანა. ლაზათიანად გაჟენთილს მოკეითეებს სოფიოს გამო ჩხუბი მოუვიდათ და სოფიო დასჭრეს... დაჭრილი სოფიო ბაღში დასტოვეს უპატრონოდ და მოქეიფენი თავისს გაუდგნენ გზას. შუაღამისას მებაღე ბაღს რომ უვლიდა, ბალახებში რაღაც შენიშნა, სანთელი დაანათა და იქვე გაქვავდა. სოფიო სისხლად დაცლილიყო. თავი მახეში რომ არ გავყოო, მებაღემ მოუფიქრებლივ დასტაცა ხელი უსულო გვამს და მტკვრის ზვირთებს მისცა.

ასე შეიწირა და მიწასთან გაასწორა პატარა მყუდრო მოსიყვარულე ოჯახი ერთგულმა ათის წლის სამსახურმა... ათის წლის სამსახური რკინის გზის მმართველობამ ხუთის თუმნით მხოლოდ მაშინ დააჯილდოვა, როცა სასოწარკვეთილების საზღვარს გადაცილებულმა სოფიომ თავისი ჩიქილა მოიხადა და ერთს მსხვერპლს მეორეც თან გააყოლა.

ი. კახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისიც ჯერ არს, და კიდევ აღარ განმეორდება ამ ყასბების ყვირილი და ჩხუბი...

*** ყვირილა: ამას წინად აღმოჩნდა სოფ. როდინაულში ფოთლის ფილოქსერა. ეს ამბავი იმითი შესანიშნავი, რომ ფოთლის ფილოქსერის არსებობა კავკასიაში არავის ეგონა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფილოქსერაც მიემატა ფრთიანსა და ფესვის ფილოქსერას.

*** ქ. სიღნაღი: არ იქნა ჩვენს სიღნაღს არა ეშველა-რა და უწმინდურობა ვერ მოიშორა თავიდამ. იმის მაგიერ. რომ თანდათან წინ მიდიოდეს ამ მხრივ, თანდათან უთრო უკანა რჩება. ისეთი სიბინძურეა ყველა ქუჩაში, რომ კაცმა უნდა ცხვირზე ხელი მოიკიდოს და ისე გაიაროს, ყველა სისაძაგლეს ქუჩაში ჰნახავთ. ამასთანავე შიგ შუაგულს ქალაქში რამდენიმე სადგომი ეზო არის, რომელშიაც სდგანან ფურგუნები, ეტლები, ურმები, ცხენები და საქონელი. ეს ეზოები წელიწადში ერთხელ არ იწმინდება, ყოველივე სიბინძურე და სისაძაგლე წლითი წლამდის სდევს იქ და ჰაერს სწამლავს. წინად, ზაფხულობით მაინც, რამდენჯერმე გამოჰყავდათ პატიმარნი, რომლებსაც აგვევინებდნენ ქუჩებს, წელს-კი ამ ჩვეულებასაც თავი დაანებეს. საკვირველი ის არის, რომ ქალაქის პოლიცია ამას ყურადღებას არ აქცევს! თითქოს სასანიტარო კომისიაცა გვყავს, მაგრამ იმისი წევრნი-კი არსადა სჩანან. საზოგადოდ ყველა ქალაქში პოლიცია შუადღემდე არ აძლევს ნებას ვაჭრებს სყიდვისას ქალაქში შემოსულ სანოვაგისას დანარჩენ მცხოვრებლების შეღავათისათვის, მაგრამ აქ-კი ეხლა პოლიცია ამას ყურს არ უგდებს. დილით ადრე, რაც სანოვაგე არის ქალაქში შემოსული, ჰყიდულობენ ვაჭრები და მემრე ერთი ათად ძვირად ჰყიდიან მცხოვრებლებზე.

*** დ. ბორჯომი. 2-ს ამ თვეს მიხეილის სასტუმროში მოხდა ერთი მეტად საზარელი ამბავი. ვიღაცა ბორჯომშივე მოსამსახურედ ნამყოფი რუსის ქალი დამდგარა ამ სასტუმროში, დროებით, ადგილის შოვნამდე. საღამოს ხუთს საათზე გაუგზავნია ბიჭი და უყიდვინებია ათი კოლოფი წუმწუმა და ერთი პატარა ბოთლი არაყი, ჩაუკეტია ოთახის კარები და ბიჭისთვის დაუბარებია, რომ, თუ ვინმე მოვიდეს ჩემი მკითხველი, უთხარ, შინ არ არის-თქო. მეორე დღეს, საათის შვიდზე, ნაშუადღევს, მოსულა პოლიციის წარმომადგენელი და უკითხავს ის ქალი. სასტუმროს პატრონს უთქვამს, რომ გუშინ ხუთს საათზე დადგა აქ, ჯერ გარედ არ გამოსულა და არ ვიცი, რა დაემართაო. პოლიციის წარმომადგენელს მაშინვე გაუღია მეორე ნომრიდან შუა კარები და შესულა ქალის ოთახში; იქ უნახავს ქალი იატაკზე დებული, მკვდარი: თურმე საწყალს თავი მოეწამლა არაყში გალესილის წუმწუმით. მიზეზი თავის მოწამვლისა ვერა გაუგიათ-რა, რადგანაც წერილი არაფერი დაუტოვებია.

*** ის კომისია, რომელიც კავკასიის მთებში რკინის გზის გასაყვანს ადგილებს იკვლევდა, ისევ ჰმუშაობს ამ ჟამად. ეხლა ეს კომისია ხევსურეთის არაგვის ხეობაშია თურმე, მხოლოდ წვიმების გამო ცოტა ხანს შეჩერებული ჰქონია მუშაობა.

ამ გვარად ის ხმა, ვითომც ამ ადგილებში რკინის გზის გაყვანას სრულიად დაანებეს თავი, ტყუილი გამოდგაო, როგორც შეუტყვია გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს და ამ საქმეზე სჯას მალე შეუდგებიან პეტერბურგში მცოდნე კაცების თანადასწრებითაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნიკორწმინდა.** (რაჭის მაზრა), 23 აგვისტო. ქუთაისიდგან მომავალი გადმოივლი თუ არა ნაქერალას მთას, რაჭის დასავლეთის მხრით, შეხვალთ დავაკებულსა და მაღალს ტყიანს მთაში, რომლის მშვენიერი მდებარება და ჰავა უნებურად იზიდავს მგზავრის ყურადღებას. ნახევარ საათის მგზავრობის შემდეგ თვალ წინ გადაგეშლებათ კარგა მოზრდილი, დაცემული და კიდევ უფრო საამური ჰალა. ეს გახლავთ—შორი, რომელსაც შუა გულზე ჩამოუდის მდ. შორი. ეს მდინარე სახელ-გინთქმულია თავისის ურიცხვისა და კარგის კალმახით. სახელიც ამ მდინარისაგან დარქმევია მთელს ჰალას. შორის ჰალას ირგვლივ დიდი ნაძვნარიანი მთები არტყია. ბარის კაცი რომ შედის შორში, კარგა გვარიანად შესცივდება და ჰამის მადაზედაც მოდის. არა ჯურის კაცი არ მოსულა ჯერ შორზე, რომ არ მოსწონებოდეს და არ გაჰკვირვებოდეს მისი მშვენიერი მდებარება. გამოჰსცილდებით თუ არა ჰალას, ჯერ სოფელს ორუბანს შეხვდებით და შემდეგ კარგა მოზრდილსა და მშვენიერად გაშენებულს სოფელსა, რომელიც პირველს შეხედვაზე ქალაქი გეგონება. ეს სოფელი ნიკორწმინდაა. ამ სოფელში სცხოვრობს ორას ოცი კომლი, თხუთმეტი კომლი აზნაური და სამღვდელო და დანარჩენი-კი სულ გლეხები. როგორც მთელის რაჭისა, ისრე ნიკორწმინდის მკვიდრნი ხვნა-თესვას მისდევენ. ეს სოფელი კარგად არის მოწყობილი: სახლ-კარობა კარგადაა მორთული, რადგან მთა ახლოს აქვთ და თითონ-კი დურგლები და ხუროები არიან. მთელი შორი და იმისი გარეშემო გორაკ-მინდვრები ნიკორწმინდელებისა არის თითქმის. ნიკორწმინდელების ნაკლულევანებას მხოლოდ ის შეადგენს, რომ წისქვილები და მამულები აქვს შორს. ხალხი-კი შედარებით სხვა სოფლების მცხოვრებელთან შეძლებულია, ზრდილობიანი და პატიოსანი.

რაც აქამდე ვსთქვი ნიკორწმინდის ღირსებაზე, ორს იმდენს ღირსებას აძლევს ამ სოფელს მისი ეკკლესია. ეს ეკკლესია სდგას სოფლის შუა ადგილზე და აქეთ-იქით სოფელს გადასჩერებია. ნიკოლოზის სახელზეა აღშენებული და სოფელსაც აქედგან მიუღია თვისი სახელ-წოდება „ნიკორწმინდა“. ეს ეკკლესია აღშენებულია ქუთაისის ძველის ტაძრის აღმშენებელის მეფე ბაგრატ IV მიერ. თუმცა ამდენის ხნის ეკკლესია არის ეს ეკკლესია, მაგრამ ბევრი ახალი ეკკლესია ვერ შეედრება. გარედგან ეკკლესია დიდია და ირგვლივ ეგუტრები აქვს მიშენებული; კედლები და აგრეთვე გუმბათიც სულ მოხატულია სხვა-და-სხვა წმიდანებით; კედლებზევეა წარწერები. შიგნით ოთხი ტრაპეზია—ორში იწირება და ორი გაუქმებულია. ამბობენ, რომ ზემოდაც არის სამწირველოები, შუა ეკკლესიის ტრაპეზის თავზეო. ერთის სიტყვით, ნიკორწმინდის ეკკლესია ერთი ძვირფას არხეოლოგიურ ნაშთთაგანია. ამიტომაც ძველს დროში ამ ეკკლესიაში მთავარ ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ყოფილან. გელათელთან და ქუთათელთან ნიკორწმინდელიც იხსენიებოდა ხოლმე. ეს ეკკლესია წინად ყოველის მხრით გამშვენებული ყოფილა—კრებულითაც და სასწავლებლითაც, როგორც შეეფერებოდა მაშინდელს დროს. თითქმის ამ საუკუნის მე-სამოც-და-ათ წლებამდე იყო სასწავლებელი, რომელშიაც არა ერთსა და ორს თავადსა და სამღვდელოს მიუღია სწავლა. დღესაც ბევრს შეხვდებით რაჭაში იმ სასწავლებელში სწავლა დასრულებულს თავადსა და სამღვდელოს, რომლებიც სიამოვნებით იგონებენ წარსულს დროს მოსწავლეობისას. დღეს-კი ნიკორწმინდის ტაძარი დაქვეითებულია და მარტო სახელით-და ჰგონებს. რაც სწავლის სურვილმა იმატა, სოფელი გაიზარდა და ქონებრივადაც წინ წაიწია, მაგრამ ეხლა სასწავლებელი აღარა აქვთ.

წარსულს წელს რაღაც სინოდის სასწავლებელი დააარსეს იმერეთის ეპარქიაში. სხვათა შორის სასწავლებელი ბედკრულს რაჭასაც რგებოდა. ბლაღოჩინებს დაავალა მთავრობამ, საღა სჯობია სასწავლებლების გახსნაო. იმათაც თავისი აზრი მოახსენეს, მაგრამ დღესაც-კი ხსენებაში არ არის ეს სასწავლებელი ჩვენს მაზრაში. სხვა მაზრებში-კი ადრევე დაარსდა და სწავლა დიდი ხანია დაიწყეს. ამ დღეებში კერძოდ ყური მოვკარით ერთს ადგილზე, რომ რაჭის მაზრაში ორი სამეურნეო სასწავლებელი უნდა დაარსდესო—ერთი ნიკორწმინდასა და მეორე-კი სორშიო. ღმერთმა ჰქნას, მართალი ყოფილიყოს ეს ხმა. ჯერ-ჯერობით-კი არც ადგილია ამორჩეული სასწავლებლისათვის და არც სახლია დაწყებული. თუ რაჭას ერთი სასწავლებელი მაინც დაარსდა, ნიკორწმინდას უნდა დაარსდეს, რადგან ნიკორწმინდა მთელს რაჭაში პირველი სოფელია თავისის მდებარეობით. აქ ჰავა კარგია, ზამთრისთვის შეშა ადვილი საშოვარია, და სახლებიც კარგად არის მოწყობილი. თუ წინად თავადიშვილები კერიანს სახლებში იდგნენ და ისე დაიარებოდნენ ნიკორწმინდის სასწავლებელში, დღეს რა უშავთ, რომ მშვენიერს ოდებში ბინები იქონიონ და ისე იარონ სასწავლებელში მოსწავლეებმა.

მთარული

## რუსეთი

უფრო დაიმშა რუსეთში აღმოსავლეთისაკენ და ვოლგის ნაპირებზე მდებარე გუბერნიები. გაზაფხულზევე იყო ნიშნები, რომ ამ ადგილებში დიდი სიმშილი იყო მოსალოდნელი. გვალვამ დასწვა ბალახი და საქონელი ივნისშივე ვერასა შოულობდა მინდორში საჭმელად. მშიერი საქონელი საღამოს აღარ უცდიდა და ღრიალით მირბოდა სოფლებისკენ და სჭამდა ჩალას, რომლითაც იქ დახურულია სახლები და ბოსლები. როგორც ფინანსთა სამინისტროს გამოუკვლევია, რუსეთს დასჭირდება დამშეულთათვის 200 მილიონი ფუთი პური. შოვნაც რომ იყოს ამოდენა პურისა, საქმე მოტანაა ალაგას. დამშეულ გუბერნიების ნაპირებზედვე დაიტაცებენ პურს და შიდა ადგილებამდე აღარავინ მიაღწევინებს. როგორც ანგარიშობენ, ფუთი პური 2 მანათამდე ავაო. მაშასადამე 400 მილიონის მანათის პური დასჭირდებათ დამშეულთა გამოსაკვებად და სათესლედ.

— მომავალ სამოსწავლო წლიდგან საერო სასწავლებელთა ზოგიერთს დირექციასთან პირველად დააარსებენ მუზეუმებს, სადაც შეჰკრებენ ყოველგვარს სახელმძღვანელოს და საჭირო ნივთებს პირველ-დაწყებითის სწავლისა და ხალხში სახელოსნო-სატეხნიკო და სააგრონომიო სწავლის გასავრცელებლად.

— ადრინდელ სრულიად რუსეთის ქალთა სახელოსნო-სამხატვრო შრომის გამოფენის ექსპონენტთა შორის რამდენმამე მოისურვა და ცდილობს, რომ იმ გვარივე გამოფენა პარიჟშიაც გამართონ. ამბობენ, ეს აზრი ბევრმა მოიწონა პეტერბურგის ფრანგთა ახალშენის ქალთაგანმა და სურვილი გამოაცხადეს, უთუოდ ვეცდებით და მაგ აზრს განვახორციელებთო. ამ საქმისათვის საჭირო ფონდის შესაკრებად აპირობენ „საგამოფენო ამხანაგობის“ დაარსებას. გამოფენის პროექტის შედგენასა და შემუშავებას უკვე შეუდგნენ და, დაამთავრებენ თუ არა, სატეხნიკო განათლების კომისიას წარუდგენენ განსახილველად.

— რადგანაც ფინლიანდიიდგან საზღვარ გარედ პურის გატანა აღკრძალულ იქმნა, ამიტომ ახალი წესი შემოიღეს ყურის გდებისა, რომ ეს დაკანონება არავინ დაარღვიოს. ფინლიანდიაში პურის წაღება ზღვითაც შეიძლება და ამის გამო შესაძლებელია, რომ იქ გაგზავნილი ჰინახული ჩუმად საზღვარ გარედ წაიღონ. დააკანონეს და ფინლიანდიაში ჰინახულის წამღებთ დაავალეს, ორის თვეის განმავლობაში მოწმობა წარმოადგინონ ხოლმე ფინლიანდიის ტამოჟნიდგან, რომ პური იქ მიუტანიათ. ვინც ამ კანონს გადავა, ერთი სამად გადაჰხდება წაღებულ ჰინახულის ღირებული. ამას გარდა ჰინახულის წამღებნი ფინლიანდიაში ვალდებულნი არიან ან მოწმობა წარმოადგინონ წინადვე ფინლიანდიის ტამოჟნიდგან, რომ მართლა იქ მიაქვთ და ან კიდევ საჯარიმო ფული, ვინიცობაა იქ არ წაიღებენ წაღებულს ჰინახულსა.

— სატარიფო კომიტეტმა გარდასწყვიტა, დაუკლოს კავკავიდგან შიდა რუსეთში რკინის გზით გასაგზავნ პურის გარდასახადი $30^{0}/_{0}$, მაგრამ ისე-კი, რომ ფუთიდამ ვერსზე $^{1}/_{100}$ კაპეიკზე ნაკლები არ მოვიდეს.

## წვრილი ამბავი

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში დაბეჭდილია ამბავი იმის შესახებ, რომ ამ ჟამად ედისონი სწერს მოთხრობას ელექტრონის მომავალზედ. ამ მოთხრობის დაწერაში ედისონს დაეხმარება ბ-ნი ლატროპი, რომელმაც უნდა შეთხზას მხოლოდ ნაწილი მოთხრობისა. ამ შესანიშნავ მოთხრობაში აღწერილი იქნება, თუ რა მომავალი მოელის სხვა-და-სხვა დარგს კაცის მოქმედებისას, რა გვარად განვითარდება იგი და რა და რას მოიგონებენ მეცნიერნი. ამავე მოთხრობაში იქნება აღწერილი აგრეთვე ცხოვრება მეოცდახუთე საუკუნისა საზოგადოდ. ამაზედ მეტი ჯერ-ჯერობით სხვა ცნობა არა სჩანს-რა ედისონის მომავალ მოთხრობის შესახებ.

— ჩინეთში კაცი მხოლოდ მაშინ აძლევს ფულს ექიმსა, ვიდრე თითონ ჯანსაღადა და კარგად არის. რა დღესაც უქეიფოდ შეიქნება, იმ დღიდგან ექიმმა უნდა დაუწყოს წამლობა, ხოლო გადასხდევინებით-კი ცალს ფულსაც ვერ გადასხდევინებს ავადმყოფს, ვიდრე არ მოარჩენს, და თუ მოარჩინა, მაშინ-კი მორჩენილმა კვლავ უნდა აძლიოს ფული ექიმსა. ჩინეთში ზოგიერთს ადგილებში ამაზედ უფრო თავისებური ჩვეულებაცა აქვთ—ექიმი ვალდებულია, სწორედ იმდენი ფარანი აანთოს ხოლმე ღამღამობით თავის სახლის წინ, რამდენი ავადმყოფიც მოჰკვდომია ერთის წლის განმავლობაში. ამის გამო შემდეგს სასაცილო ამბავსაც იტყვიან ხოლმე ჩინელები. დადიოდა თურმე ერთი ავადმყოფი და ექიმის ნახვა უნდოდა, მაგრამ ვერსად ვერ შეებედნა, რადგანაც ყოველის ექიმის კარებზე ბლომა-ბლომად მდგარა ფარნები. ბოლოს შეხვედრია ერთი ექიმი, რომელსაც სახლის წინ მხოლოდ ექვსი ფარანი სდგმია. დაუღუნია თავი და შესულა. „შენ ყველაზედ კარგი ექიმი უნდა იყოო, უთქვამს ავადმყოფს: რადგან სახლის წინ ფარნები ცოტა გაქვს დადგმულიო. „შეიძლებაო—უპასუხნია ექიმს—მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ ერთი დღეა, რაც მე აქა ვცხოვრობო“.

— ლონდონი კვლავ ალაპარაკდა იმის შესახებ, დაიჭირეს თუ არა მფატრავი ჯეკიო. ამ დღეებში შუაღამის დროს საშინელი ყვირილი გაისმა—მიშველეთო—სწორედ იმ ქუჩაზე, სადაც ჯეკი ქალებსა ჰფატრავდა ხოლმე. პოლიცია ფიცხლავ მივიდა და დაინახა, რომ ვიღაცა კარგად ჩაცმულს კაცს ცალს ხელში რევოლვერი ეჭირა და მეორე ხელით ერთს გარყვნილს ქალს ებღაუჭებოდა. რევოლვერი ძალით წაართვეს ხელიდგან. როდესაც ჰკითხეს, ამ დროს აქ რათ მოსულხარო, უპასუხა, მინდოდა ის ქუჩა მენახა, სადაც ჯეკმა მრავალი ქალი გამოფატრაო. მეტად ამ კაცს მასხლობელს ქუჩაში გაეჩერებინა. პოლიციამ, რევოლვერს გარდა, ერთი გრძელი დანაც უპოვნა. რადგანაც პოლიციის მიერ დაჭერილს კაცს სწორედ ისეთი შეხედულობა აქვს, როგორის შეხედულებისასაც ჯეკს ამბობენ, ამიტომ ჰგონიათ, რომ ეხლა-კი გვეშველა—ჯეკი დავიჭირეთო.

— ერთმა ამერიკელმა ექიმმა ხერხი მოიგონა იმ გვარად კბილის ამოღებისა, რომ კაცს ატკინოს-კი არა, სრულიადაც არ შეატყობინოს. ეს ექიმი ჯერ ელექტრონის ძალის ნაკადულს ჩაატარებს ხოლმე ნატკენს კბილში, აყრუებს და მერე ისე იღებს.

— უცხო სახელმწიფოს გაზეთები ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ ახლად მოგონილს ტერრორიტზე, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც მელენიტსა, მაგრამ მელენიტივით-კი უბრალოდ არ აფეთქდება და არც კვამლი აქვს. ერთის სიტყვით ეს ახლად მოგონილი წამალი იგივე თოფის წამლის, იმნაირივე შემმუსვრელი ძალა აქვს, ხოლო სასმარებლად-კი ისეთი საშიში არ არის, როგორც თოფის წამალი.

— ჩდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მეურნეობის სამინისტროს ანგარიშიდამა სჩანს, რომ სამის კვირის განმავლობაში ტეხასის შტატში ცხრაჯერ მოუყვანიათ ხელოვნურად წვიმა. ცხრაჯერვე წვიმა ჰაერში დინამიტის აფეთქებით მოუყვანიათ. ღამის 10 საათზე ააფეთქებდნენ ხოლმე თურმე დინამიტს მაღლა ჰაერში და დილის სამს საათზე წვიმა მოდიოდა.

---

## დეპეშა

5 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს უმაღლესი ბრძანებანი რომ: 1) აღკრძალულ იქმნას სააქციზო გარდასახადის უკან დაბრუნება სპირტის საზღვარ გარედ გატანის დროს, რაიცა დაწესებული იყო 1891 წ. 27 მაისს. ეს კანონი შეეხება ყველა იმ სპირტს, რომლის საზღვარ გარედ წასაღებადაც ტამოჟნები ოქმებს არ შეადგენენ შემოწმებისაც იმ დრომდე, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო ამ კანონის შემოღებას აუწყებდეს, 2) აღკრძალულ იქმნას ხორბალ პურის გატანა იმიერ კასპიის მხრიდგან სპარსეთში. ეს კანონი შემოღებული უნდა იქნას იმ დღიდგან, რა დღიდგანაც გამოცხადებული იქნება. ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა აუწყოს ეს კანონი სათანადო დაწესებულებათ სისრულეში მოსაყვანად.

„Нов. Вр.“ იუწყება, აპირობენ ნება მისცენ საგუბერნიო ერობათ, რომ მოუსავლობისა სეტყვისა და ცეცხლისაგან დაზარალებულს ხალხს, საშოვარზე მიმავალს, უფასოდ აძლიონ პასპორტები საგანგებოდ ნება-დაურთველად, მხოლოდ-კი უნდა აცნობონ სათანადო უწყებათ, რამდენი პასპორტიც გაიცემოა.

**პარიჟი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ ინგლისის მთავრობამ უკმაყოფილება გამოუცხადა ესკადრის კომანდირს, რადგანაც სიგრში გავიდა წურთვნა-სავარჯიშოდაო.

საფრანგეთის მთავრობამ ნება მისცა თავისს აგენტს ვალპარაიზოში, დროებითი მთავრობა ჩილისა შეიწყნაროს.

ყოველივე გასაფრთხილებელი ღონე იხმარეს „ლოენგრინის“ წარმოდგენისათვის, რადგან გერმანელთა საწინაალმდეგო მანიფესტაციას აპირობენ. გარდა პოლიციელებასა, „ოპერის“ მოედანზე ან იმის ახლოს დააყენებენ აგრეთვე რესპუბლიკის ქვეითისა და ცხენოსან ჯარის რაზმებსაც.

6 სექტემბერი

**მოსკოვი.** შუა აზიის გამოფენის კომიტეტმა მიიღო წესები და პროგრამა რუსულის ნიმუშების მუდმივის გამოფენისა ბელგრადში. გამოფენამ უნდა გამოარკვიოს, რა გვარი რუსული საქონელი გასაღდება ადვილად სერბიაში. ჰსურთ რამდენიმე ცალი მიიღონ რუსულის საქონლის ნიმუშებისა, რომ სერბიის სხვა-და-სხვა სავაჭრო ადგილებში გაავრცელონ. გამოფენის კომიტეტი შუამდგომლობას კისრულობს რუსეთისა და სერბიის სავაჭრო დაწესებულებათა შორის. გამოფენასთან არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა რუსული ბაზარიც გაიმართება წვრილად ვაჭრობისათვის. ექსპონენტებს შეუძლიანთ საქონელი შემდეგის ადრესით გაგზავნონ: ოდესა, შავის ზღვისა და დუნაის სახომალდო საზოგადოებას გასაგზავნად ბელგრადში რუსულის გამოფენის გამგე გიორგი გენიჩთან.

**პარიჟი.** გუშინდელმა წარმოდგენამ „ლოენგრინისამ“ მშვენიერად ჩაიარა. მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა არტისტებსა და თვით პიესას. შიგ თეატრში არაფერი ამბავი მომხდარა. ქუჩაზე ბლომა ხალხი შეიკრიბა, რომელსაც პოლიცია ერეკებოდა, და მარსელიეზას მღეროდა. ხმა მაღლა ისმოდა ყვირილი „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო“. რამდენიმე კაცი ყვიროდა „დაკარგეთ ვაგნერიო“. პოლიციას ძლიერ სასტიკი ბრძანებანი ჰქონდა მიცემული: ვინც პოლიციის თხოვნის წინააღმდეგ ადგილიდგან არ იძვრებოდა, მაშინვე აპატიმრებდნენ და მიჰყავდათ თეატრის სარდაფში, სულ 1000 კაცი დააპატიმრეს, რომელთაგანაც, 50 კაცს გარდა, სხვანი სუყველანი ისევ გაანთავისუფლეს.

პეტერბურგის ბირჟა, 3 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 48 | 7, 53 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

---

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

---

## განცხადებანი


გრ. ჩარკვიანის
**სტამბა და წიგნთ საწყობი**
გადავიდა
მიხეილის ქუჩაზე, მედვედევის სახლებში, პერმიკინის გვერდზე.
ახლად დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის
სტამბასა და წიგნთ საწყობში

**დემონი**

პოემა
მ. ლერმონტოვისა
თარგმანი
მამია გურიელისა (ფაზელი)
ფასი 15 კაპ.
(3—0—3)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულოქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |

---

**ა. რალლე და ამხ.**
მოსკოვში
**სასახლის იჯარადარი**
ა. რალლეს და ამხ.
ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:
**ხავერდის პუდრა**
**ფერადი საპონი გლიცერინისა**
**კვერცხის საპონი**
უყვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი
ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—5)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 აპრილის მე-87 №-ში

---

გამოვიდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში:
პირველი სამი ტომი

**წ. ყაზბეგისა**

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, ძირულაში—ილია ქიქინაძე, ბეჟათუბანში—ანდრ. შაფათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი. (0—3)


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ‘‘.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.